

## 6.1. კომერციული ბანკის პასიური ოპერაციები

როგორც გასული მასალიდან გვახსოვს, კომერციული ბანკის **პასიური ოპერაციები** – ესაა იმ ოპერაციათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით ხდება მისი პასივის, ანუ რესურსების, ფორმირება. როგორც განმარტებიდან ჩანს, პასიური ოპერაციების მეშვეობით ხდება კომერციული ბანკის რესურსების ზრდა და ეს რესურსები აღირიცხება ბალანსის პასივში შესაბამის ანგარიშებზე. გამომდინარე კომერციული ბანკის განსაკუთრებულობიდან, მისი პასიურ ოპერაციებს, ანუ რესურსების ფორმირებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად, ანუ კრედიტების გასაცემად, ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ინვესტირებისათვის, ძირითადი საშუალებების შესაძენად და ა. შ. კომერციულ ბანკს სჭირდება რესურსები, ანუ ფული, რომლის ფინანსურ ბაზარზე მოზიდვის ერთადერთ საშუალებას სწორედ პასიური ოპერაციები წარმოადგენენ.

გასულ მასალაში ჩვენ განვიხილეთ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივებისა და პასივების საბალანსო მონაცემები 2013 წლის ბოლოსათვის. განვაზოგადოთ ისინი პასივების ნაწილში, მოვახდინოთ მისი „ჩამლა“, ანუ დეტალიზაცია, რაც მოგვცემს პასივების სტრუქტურის უკეთ შესწავლის საშუალებას რეალური მაჩვენებლების მაგალითზე (ცხრ. №6.1.).

**ცხრ. №6.1. საქართველოს საბანკო სისტემის კრედიტით ბალანსი 31.12.2013 (მლრდ ლარი) — პასივების დეტალიზაციით**

	აქტივები	მოც.	წილი		პასივები	მოც.	წილი
1.1.	ნაღდი ფულადი სახსრები	0.9	5 %	2.1.	ვალდებულებები	14.4	83 %
1.2.	სახსრები საბანკო ანგ-ზე	3.0	18 %	2.1.1.	დეპოზიტური სახსრები	9.7	56 %
1.3.	ფასიანი ქაღალდები	1.5	9 %	2.1.1.1.	დეპოზიტები მოთხოვნამდე	4.5	26 %
1.4.	წმინდა სესხები	9.9	57 %	2.1.1.2.	ვადიანი დეპოზიტები	5.2	30 %
1.5.	ფიქსირებული აქტივები	0.4	2 %	2.1.2.	არადეპოზიტური სახსრები	4.2	24 %
1.6.	ინვესტიციები	1.0	6 %	2.1.2.1.	ბანკების ანგარიშები	0.6	3 %
1.7.	სხვა აქტივები	0.6	3 %	2.1.2.2.	ნასესხები სახსრები	3.6	21 %
				2.1.2.3.	საკ. სავალო ფ/ქალაღ.	0.0	0 %
				2.1.3.	სხვა ვალდებულებები	0.5	3 %
				2.2.	სააქციო კაპიტალი	2.9	17 %
				2.2.1.	საწესდებო კაპიტალი	1.0	6 %
				2.2.2.	კაპიტალის რეზერვები	1.2	7 %
				2.2.3.	გაუნაწილებელი მოგება	0.7	4 %
1.	მთლიანი აქტივები	17.3	100 %	2.	მთლიანი პასივები	17.3	100 %

კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების საშუალებით ხდება იმ ფულადი სახსრების მობილიზება, რომლებიც უკვე იმყოფებიან მიმოქცევაში. მათი მოზიდვის შემდეგ კი საბანკო სისტემაში ხდება ახალი რესურსების შექმნა აქტიური ოპერაციების შედეგად.

გასულ მასალაში ასევე აღინიშნა, რომ პასიური ოპერაციების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

1. დეპოზიტური სახსრების მოზიდვა (2.1.1. ცხრ. №6.1-ის მიხედვით);
2. არადეპოზიტური სახსრების მოზიდვა (2.1.2.);
3. საკუთარი კაპიტალის ზრდა (2.2.).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალადან პირველი ორი (დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრების ზრდა) ქმნიან კომერციული ბანკის მოზიდულ რესურსებს, ხოლო მესამე (კაპიტალის ზრდა) – საკუთარ სახსრებს.

კომერციული ბანკის **მოზიდული რესურსების** ფორმირება, როგორც აღვნიშნეთ, ხდება დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციებით.

**დეპოზიტური ოპერაციები**, როგორც წესი, კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების ძირითადი სახეობაა. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, მათზე საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების 53% მოდის. თავის მხრივ, არასაბანკო დეპოზიტები ორ ძირითად ჯგუფად – მოთხოვნამდე (უვადო) და ვადიან სახსრებად იყოფა.

**არადეპოზიტური ოპერაციები** კომერციული ბანკების რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა, რომლებიც გამოიყენება როგორც მოკლევადიანი რესურსების მისაღებად ლიკვიდობის მართვისათვის, ისე გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის მისაღებად.

რაც შეეხება **საკუთარ სახსრებს**, იგი არის პასიური ოპერაციების განსაკუთრებული სახეობა. საკუთარი სახსრების სტრუქტურა არაერთგვაროვანია და მის შემადგენლობაში ძირითადია სანესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები და გაუნაწილებელი მოგება.

თითოეული რესურსის წყაროს განსაკუთრებულობა და სტრუქტურული შემადგენლობა, ასევე მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენით გამოკვეთილი ტენდენციები, ამ თავის შემდეგ პარაგრაფებში იქნება განხილული.

## 6.2. კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა

თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი პასივების სტრუქტურას, რაც განპირობებულია კონკრეტული ბანკის განვითარების სტრატეგიით, ბაზარზე კონკურენციის დონით, აქციონერების ფინანსური შესაძლებლობებით, ბანკის იმიჯით, მის მიერ განხორციელებული აქტიური ოპერაციების მოცულობით, ხასიათით და რისკის დონით.

კომერციული ბანკების პასივების, ანუ რესურსების სტრუქტურა, მრავალფეროვანია და მისი თითოეული კომპონენტის როლი და დანიშნულება – განსაკუთრებული. სანამ დავინყებდეთ რესურსების სტრუქტურის დახასიათებას, თვალი მივადევნოთ საქართველოს კომერციული ბანკების კრებსით საბალანსო მონაცემებს (ცხრ. №6.2.) და ვნახოთ, როგორ იცვლებოდა მისი სტრუქტურა.